# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— სამშაბათი, 4 აპრილი 1900 წ. № 1090

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## „შუამავლის“

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის გამგეობას აქვს პატივი აუწყოს ბ. ბ. ამხანაგობის წევრთა და პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის მაღაზიაში (თამამშევის ქარვასლა, პუშკინის ბაღის პირდაპირ) **ისყიდება პირიანად** ყოველგვარი საუკეთესო ბაკალეული, გასტრონომიული საქონელი და სასმელეული, აგრეთვე სააღდგომოდ ყველა საჭირო სანოვაგეულობა და პასქები. ნ. 3—2

## ახალი ამბავი

✦ „ტფ. ფურცელს“ დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: „**საერთაშორისო გამოფენის კავკასიური განყოფილება** სრულიად მზად არის; თუმცა განყოფილებას პატარა ადგილი აქვს მიჩნეული და ძლივს დაეტია ნახევარი გამოგზავნილ ექსპონატებისა, მაგრამ განყოფილება მაინც კარგად და კოხტად არის მოწყობილი“.

✦ „ქუთაისის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი **ცირკულიარი ქუთაისის გუბერნატორის** გენ.-მაიორის გერშელმანისა: „იმ ცნობებიდან, რომელიც მე ხელთა მაქვს, სჩანს, რომ სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ქუთაისის გუბერნიაში დაწესებულა **სხვა-და-სხვა გვარი ბეგარა**, რომელიც აწევს კისერზე სოფლის მცხოვრებთ ავაზაკობისა და დანაშაულობათა ასაცილებლად. სულ გუბერნიაში ათი სხვა-და-სხვა სახის ბეგარა არსებობს. მას შემდეგ რაც ქუთაისის გუბერნიაშიაც დაწესდა საპოლიციო სადარაჯო, მე შესაძლებლად ვსთვლი გავანთავისუფლო მცხოვრებნი ამ ბეგარისაგან და წინადადებას ვაძლევ მაზრის უფროსთ ეხლავ მოსპონ გლეხთა გაწვევა: ა) ფოსტის დაცვისათვის საფოსტო და სასოფლო გზებზე; ბ) სასამართლო, საფოსტო და საფინანსო დარაჯობისათვის; ამ დაწესებულებათ თვითონ უნდა ჰყავდეთ საჭირო რიცხვი დარაჯებისა; გ) მონასტრების დაცვისათვის; მონასტრებსაც თავის ხარჯით უნდა ჰყავდეს დაქირავებული დარაჯები დ) სოფლებში სავაჭრო დაწესებულებათა დაცვისათვის“.

✦ იმავე ოფიციალურ გაზეთში დასტამბულია, რომ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქუთაისის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ამიერიდან ქუთაისში, კვირა დღეებით და უმთავრეს 12 დღესასწაულ დღეებით, სავაჭრო და სამრეწველო სადგომები იხსნებოდნენ შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე; ხოლო დანარჩენ უქმე დღეებით—იხსნებოდნენ შუადღის 12-დან საღამოს 6 საათამდე. ეს სავალდებულო დადგენილება არ შეეხება მხოლოდ დუქნებს, რომლებშიაც ჰყიდიან მარტო სასმელებს: მათ ვაჭრობის ნება აქეთ შუადღის 12 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარუდგენია ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მომავალ შემოდგომაზე ტფილისში მოწვეულ იქმნას მეაბრეშუმეთა **საყოველთაო კრება**, რომელმაც უნდა განიხილოს მეაბრეშუმეთა ეხლანდელი მდგომარეობა და გამოსძებნოს საშუალებანი მისი გაუმჯობესობისათვის.

✦ კავკასიის უმაღლეს მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მისცეს სესხი **ყანების დასათესად**: ახალქალაქის მაზრას 18.000 მან., გორის მაზრას —5,000 მან. და დუშეთისას—27,000 მან., სულ 50 ათასი მანეთი.

✦ ბათუმიდან გვწერენ, რომ 19-ს მარტს აქ გაიხსნა უფასო **სახალხო სამკითხველო** მ. კ. მხეიძის მოთაოსნობით. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. თუ რამდენად საჭიროა ამგვარი სამკითხველო ბათუმისათვის, იქიდან დაინახავთ, რომ მუდამ დღე სამკითხველოში შემოდის 150—200-მდე მკითხველი. ჯერ-ჯერობით მხოლოდ გაზეთები აქვს სამკითხველოს გამოწერილი. წიგნების შეძენას მაშინ შეუდგება, როცა მოათავებენ სამკითხველოსთვის განზრახულ შენობის აგებას. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სამკითხველო აქ ძლიერ იხეირიებს და სარგებლობასაც მოიტანს.

✦ თიონეთის მაზრის ს. პანკისში დაუმთავრებიათ უკვე **სკოლის შენობის** აგება. შენობაში ხსნის მალე სკოლას კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება.

✦ „კავკაზ“-ის სიტყვით ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი თავ. ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვის შესახებ უმართებულესს სენატს **ხელმეორედ გაუუქმებია** და მათი საქმე კვლავ უნდა გაირჩეს ტფილისის სამოსამართლო პალატაში.

✦ გაზეთ „კასპის“ სიტყვით, ბაქოში ცნობა მოსულა, რომ **ბუხარის ემირი** აპრილის ბოლო რიცხვებში ჩამოვა კავკასიაშიო.

✦ **ძმ. ნობელის ამხანაგობა და როტშილდის ფირმა** შეერთებულან ერთ სინდიკატად ბაქოს ნავთის საზღვარ გარედ გასაზიდავად.

✦ რუსეთის მემამულეთა **დახმარებისთვის** არსდება პეტერბურგში აქციონერთა საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება მოსძებნოს გზები და დაეხმაროს მემამულეთ ხორბლის გაყიდვის საქმეში. საზოგადოების ძირითადი თანხა უდრის 1.000.000 მანეთს. წესდება წარედგინა დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს.

✦ პეტერბურგში არსდება აგრეთვე „**ადმშენებელი სააქციონერო საზოგადოება**“, რომელსაც მიზნად აქვს—ააგოს სხვა-და-სხვა ქალაქებში სახლები და შემდეგ შეღავათიანის პირობებით ჰყიდოს იგი მსურველზედ. საზოგადოების თანხა უდრის 2 მილიონ მანეთს.

✦ ელიზავეტპოლის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბელიავსკი გადაიყვანეს კიევში.

✦ 1 აპრილს კომისიისა და გამგეობის სხდომაზე შესახებ **ელექტრონის განათებისა** გადასწყვიტეს ითხოვონ სესხის აღება 400,009 მან. და ქალაქმა თვითონ იკისროს ელექტრონის განათების მოწყობა, რადგან ოთხივე პროექტი სხვა-და-სხვა საზოგადოების მიერ წარდგენილნი არც ერთი მიღებულ არ იქმნა.

✦ გუბერნიის საკრებულომ გუშინ არ დაამტკიცა საბჭოს მიერ გადაწყვეტილი 12000 მან. ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად. საკრებულომ წინადადება მისცა ნახევარი იქმნას გადადებული. ეს წინადადება ქალაქის გამგეობამ განიხილა და წარუდგინა საბჭოს, რომელმაც დაადგინა: ყოველ წლივ ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში იქმნას შეტანილი ფული მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად.

✦ ბათუმიდან გვწერენ: «მარტის 26-ს ქართულ სკოლაში დანიშნული იყო წლიური საზოგადო კრება **ბათუმის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა.** კრება გახსნა ბ. გრ. ვოლსკიმ, რომელმაც სთხოვა საზოგადოებას თავმჯდომარის არჩევა. დარბაზში შეიქმნა ყვირილი: ვინ ყვიროდა, რომ თავმჯდომარედ ისევ ბ. ვოლსკი დარჩენილიყო, ვინ ყვიროდა, ეგ არ შეიძლებაო, რადგან ვოლსკი ბანკის საბჭოს თავმჯდომარეაო და ამიტომ ყვიროდნენ, თავმჯდომარედ ბ ლ. გაბუნია იყოსო. ბ. ლ. გაბუნია კიდევაც გაექანა თავმჯდომარის ადგილისდ ასაჭერად, რომ აქეთიქიდან მიაყვირეს, მოთმინება იქონიეთ, ნუ ჩქარობთო. ბ. გაბუნია შესდგა და გაკვირვებით დაიწყო ყვირილი, რომ ბ. გრ. ვოლსკისაც შეუძლიან თავმჯდომარედ ყოფნა და ამიტომ დევნა აღარ არის საჭიროო. ამან კიდევ უფრო გააცეცხლა კრება და ხმაურობამ იმატა. ხმები მოისმა, კენჭმა გადასწყვიტოს სადავო საგანიო. მაშინ ბ. ლ. გაბუნიამ განაცხადა, უარს ვამბობ კენჭის ყრაზედაო და თავმჯდომარეობაზედაცაო. მისმა მომხრეებმა ახლა სხვა კანდიდატი დაასახელეს, მაგრამ ამანაც უარი სთქვა; მოინდომეს ბ. ხუდადოვი მაგრამ ამანაც უარი განაცხადა. და ბოლოს, როგორც იქმნა, შეთანხმდ-

ნენ ბ. გრ. კოლსკის თავჯდომარეობაზე. წაკითხული სარევიზიო კომისიის ოქმიდან კრებამ გაიგო, რომ ბანკის საქმე წესიერად არის, კარგად მიდის და საიმედოანად. გამგეობისაგან წარმოდგენილი წლიური ანგარიში, მოკლე კამათის შემდეგ, ერთხმად დამტკიცებულ იქმნა. აქედან საზოგადოებამ შეიტყო, რომ საზოგადოების საქმე კარგად მიდის, წევრები თანდათან ემატებიან, ფულის მთხოვნელებიც ბევრია; მართალია, სასურველია, რომ მეტი ფული ჰქონდეს ბანკს, რომ უფრო მეტის გაცემა შეიძლოს და ასარგებლოს თავის წევრებს, მაგრამ თანხა შესდგება წვრილ შემონატანთაგან და ამიტომ ჯერ-ჯერობით სასურველი ტრიალი არა აქვს ფულს, მაგრამ მიუხედავად ამისა ბანკის საქმე დღითი-დღე იზრდება და შესამჩნევად მატულობს. მიღებულ იქმნა აგრეთვე მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, წარმოდგენილი გამგეობისაგან, გაუსწორებლად, და ჯერ მოვიდა გადა გასულ დირექტორის ბ. ი. პარონბეგოვის ნაცვლად ახალი დირექტორის ამორჩევაზე. თავჯდომარეს სიტყვის დათავებაც არ დაეცადა, რომ ვიღაც წამოდგა და დაიწყო, რომ საჭიროა ბ. პარონბეგოვს ჯამაგირი მოემატოსო; მთქმელი ჩაასწყვეტა—უდროო დროს ლაპარაკობთო. მოლაპარაკემ ერთი წუთით ხმა გაკმინდა და შემდეგ იქვე დასტანა, რომ ქალაქში რაღაც ხმები დადისო ბ. პარონბეგოვის უწესურ საქციელზედაო და საჭიროა ვინ რა ბრალსა სდებსო აქ გამოსთქვას. აქაც მიაძახეს მას რომ საზოგადოებას ხელი არა აქვს ბაზარში თუ ვინ რას ლაპარაკობსო და ამბობსო. დააწყნარეს თუ არა ეს პირი, ასტყდა საშინელი ალიაქოთი. საზოგადოების ერთი ნაწილი უყვიროდა, რომ დირექტორად უკენჭოდ ამორჩეული იყოსო ისევ ბ. ი. პარონბეგოვი, მეორე ნაწილი თხოულობდ რომ კენჭი ეყარათ და ყუთი დაედგათ. მთელი საზოგადოება აირია. თავჯდომარემ გამოაცხადა, რომ რაკი ერთი ნაწილი კენჭს თხოულობს, მე ყუთი უნდა დავდგაო. ამან უფრო მეტი ხმაურობა გამოიწვია: წამოვარდნენ თავდავიანთ ადგილებიდან და ერთი მეორეს ეცნენ. ვინც წინ ისხდნენ თამჯდომარეს შემოადგნენ და თავგამოდებით შეჰყვიროდნენ. არ შეიძლება კენჭით, უსათუოდ კენჭი უნდა იქმნესო. არეულობა თან და თან იზრდებოდა; ბ. ლ. გაბუნიამ თავმჯდომარეს ზურგს უკან შემოუარა და უყვიროდა, რომ საზოგადოებას მალას ნუ ატანთო, კენჭის ყრა არ შეიძლებაო, უკენჭოდ უნდა ამოარჩიოთ ბ. პარონბეგოვიო. ბ. გაბუნიას ამ საქციელმა ხმა გამოაღებინა მანამდე წყნარად მყოფ პირთაც, რომელთ მოინდომეს ამ კაცის რამოდენადმე მაინც დაწყნარება; მაგრამ ვერას ხდებოდნენ. როგორც იქმნა ყუთიც მოიტანეს; ვიღაცეებმა ხელი დაავლეს და ყუთის იქით გადაგდება მოინდომეს, მაგრამ სხვებმა არ დაანებეს. ყოველ მხრიდან ისმოდა ლანძღვა და გინება. როგორცი იქმნა, ბოლოს ბ-ნმა პარონბეკოვმა მიაქცია ამას ყურადღება, წამოდგა და განაცხადა, რომ რაკი ამგვარი ამბავი ხდებაო, გთხოვთ კენჭი მიყარეთო. ამან საბოლოოდ გადარია მისი მომხრეები; ახლა უფრო გაცხარდნენ, უფრო მოინდომეს თავისი კაცის საპატიოდ გაყვანა. საქმე იმ ზომამდე მივიდა რომ, იმავე ბ. ლ. გაბუნიამ აღარც თავის ულონობას მიჰხვდა და თითქო მალათი მოინდომა საქმის გატანა; მაგრამ მას დაასწრო მისმა თანამოაზრემ, ვიღაც კოლსკიმ, რომელმაც მოინდომა ჯოხის დატრიალება. შეიქმნა ერთი აურზაური, ერთი საზარლობა. ცუდი საქმე მოხდებოდა უთუოდ, რომ მარჯვეთ არ ყოფილიყვნენ ზოგიერთნი, რომ დროზედ ბ. ხუნდაძეს ლუკმა-ლუკმა არ დაემტვრია მოქნეული ჯოხი და გარეთ არ გაეგდოთ გაგმირებული კაც-ბატონები. თავჯდომარემ ამის შემდეგ დახურა კრება. ყვირილით ხალხი გაემართა კრებისაკენ; ამათი გარეთ გასვლა და საშინელი ქარიშხალის ამოვარდნა ერთი იყო. საშინელმა ქარმა ერთი თვალის დახამხამებაში გაფანტა ეს ხალხი, თითქო მათზე ბრაზი მოსდოდა და წყრებოდა...

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

## 1 აპრილი

**ხარკოვი.** ქალაქის თავმა გოლენიშჩევ-კუტუზოვმა უარი განაცხადა თანამდებობაზე.

**როსტოვი-დონზე.** აქაურს საპყრობილეში არსდება პატიმართათვის საკვირაო სკოლა.

პასტუხოვის ქარხანაში გასკდა ქვაბი; მოკლულ იქმნა სამი მუშა და დაჭრილ იქმნა მძიმედ ერთი.

**ლონდონი.** „დეილი ნიუს“-ს კაპშტადტიდან სწერენ, რომ ჰოლანდიელ ფერმერთა მოქმედება სამხრეთ-დასავლეთის ოლქებში, სახელდობრ სველლენდამში და კალენდენში, დიდათ საეჭვო და საშიშოა. ერთმა წარჩინებულმა ჰოლანდიელმა კიდევაც გამოაცხადა, რომ ჰოლანდიელთა ფერმერების უმეტესობა მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდის აჯანყებისათვისო; რომ მარტო მას აქვს 500 კაცისათვის თოფიცა და სამხედრო სურსათიც.

„ტაიმს“-ს თეირანიდან ატყობინებენ, რომ შაჰი უკვე გაემგზავრა თავრიზით ევროპას. ჯერ ის კონტრექსვილს მივა, შემდეგ კი ოფიციალურად მოივლის ევროპის სატახტო ქალაქებს პეტერბურგიდან დაწყებული.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ იამბერსბერგიდან: „ბურების ჯარი, რომელიც გარს ახვევია პოლკოვნიკ დალგეტის რაზმს ვეპერენში, შესდგება რამდენიმე ათას კაცისაგან ათის ზარბაზნით. ინგლისელებმა მამაცურად მოიგერეს მტრის იერიში ორშაბათს და სამშაბათ ღამეს. ხუთშაბათს ზარბაზნებისა და თოფების სროლა იყო გამართული. ჩვენ იმედი გვაქს, რომ მოვიგერებთ ბურების ყოველ თავდასხმას. სურსათ სანოვაგე საკმარისი გვაქვს“. შენიშვნაში „რეიტერის სააგენტო“ ამბობს, რომ ეს დეპეშა ეკუთვნის, ალბათ, პირს, რომელიც დალგეტის რაზმში არისო. ვეპერენში არაფერი არ იციან იმის შესახებ, ვითომც ინგლისელებმა ბურებს გაუფუჭეს და წაართვეს რამდენიმე ზარბაზანიო.

**კონსტანტინეპოლი.** სიზსის კათოლიკოსის არჩევა კვლავ გადაიდვა. ილდიზ-კიოსკში ცდილობენ დაამშვიდონ სომეხთა პატრიარქი, რომელიც სამსახურიდან დათხოვნას თხოულობს.

**მილანი.** ბურების მისსია სენგოტარდის რკინის გზით გაემგზავრა გააგისაკენ. ლეიდსი წავიდა ბრიუსელში.

**რომი.** პორტუგალიის ელჩი წავიდა მილანით შვეიცარიაში თავის ავადმყოფ შვილთან. მის მოგზაურობას არავითარი კავშირი არა აქვს ბურების მისსიასთან.

**პარიზი.** ლუბე გამოვიდა ელისეს სასახლედან სადღესასწაულო ეტლით, რომელსაც თან მოსდევდა ოთხი ეტლი მინისტრებით; უკანასკნელთა შორის არ იყვნენ მხოლოდ გალიფე და მილიერანი. კორტეჟი მივიდა სადღესასწაულო დარბაზში 2 საათზე. ლუბეს ეცვა ფრაკი და გაკეთებული ჰქონდა საპატიო ლეგიონის ლენტა. მას მიეგებნენ მილიერანი, პიკარი და გამოფენის ადმინისტრაციის უმთავრესნი წევრნი. ლუბეს მიესალმენ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და უცხოელი კომისარნი. შემდეგ ყველანი შევიდნენ დარბაზში. ოფიციალური პირები, ელჩები, კომისარები და დიდ-ძალი საზოგადოება ხსა-მაღლა მიესალმნენ პრეზიდენტს; ორკესტრმა დაუკრა მარსელიეზა. სანახავი შესანიშნავი და დიადი იყო. მილიერანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც ლუბემ უპასუხა. შემდეგ პრეზიდენტი შევიდა სასტუმრო ოთახში, სადაც მიიღო მოლოცვა გამოფენის გახსნის შესახებ უცხოელთა წარმომადგენლებისაგან.

## 2 აპრილი

**პეტერბურგი.** სვეაბორგის ციხის ქვეითა ბატალიონი გადაკეთებულ იქმნა პოლკად, რომელშიაც ორი ბატალიონი იქმნება.

17 აპრილს ხელმწიფე იმპერატორი დაათვალიერებს ცარსკოე სელოში ჯარების სხვა-და-სხვა ნაწილებს.

**პარიზი.** ელისეს სასახლეს ირგვლივ და ელისეს მინდორზე დიდძალი ხალხი შეგროვდა. ისმის ყვირილი: „გაუმარჯოს ლუბეს, გაუმარჯოს ვალდეკს!“-ო. როდესაც კიროსირთა რაზმმა გაიარა, შეიქმნა ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარსო“! გენერალი გალიფე, რომელსაც ნეკრესის ქარი აქვს გამჯდარი მარცხენა ფეხში, ველარ დაესწრება გამოფენის გახსნას.

**პარიზი.** უცხოელთა კომისარებმა ფეხზე დგომით მოისმინეს ლუბეს სიტყვა. როდესაც ლუბე წამოდგა სიტყვის წარმოსათქმელად, მოისმა ყოველ მხრიდან ტაშის ცემა უცხოელთა. 2 საათსა და 35 წუთზე ლუბემ, რომელსაც თან ახლდნენ მინისტრები, ელჩები, კომისარები, სენატორები და სხვანი, გაიარა მარსის მოედანი და 3 საათსა და 58 წუთზე ჩაჯდა ნავში, რათა სენიდან დაეთვალიერებინა გამოფენა.

**პარიზი.** გამოფენის გახსნისათანავე აკურთხეს ახალი ქუჩა და ხიდი, რომელთაც სახელად უწოდეს ყოველ რუსისათვის საყვარელი სახელები იმპერატორების ალექსანდრე მესამისა დ ნიკოლოზ მეორესი. გამოფენაზე რუსეთის განყოფილება სრულიად დამთავრებულია. არასოდეს რუსეთის მრეწველობა არ ყოფილა ასე ბრწყინვალედ გამოფენილი, როგორც ეხლა; 2400 ექსპონენტს უჭირავს კოხტა და ორიგინალური პავილიონები ტროვადეროში. რესპუბლიკის პრეზიდენტმა მხურვალედ მიულოცა თავ. ტენიშევს და განაცხადა, რომ საგანგებოდ მოვალ რუსეთის განყოფილების დათვალიერებისათვისო.

**ნიუ-იორკი.** „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს ვაშინგტონიდან დეპეშით ატყობინებენ: სტატს-სეკრეტარმა გეიმ აცნობა ესპანიის ელჩს, რომ შეერთებულ შტატებს არ შეუძლიან აღიაროს კუნძულები სიბუტუ და კაგაიან-სელუ ესპანიის საკუთრებად.

**ნაუპორტი.** სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ორ მეამბოხეს

აპის ახალშენისას საპატიმროში დამწყვდევა: ერთს ხუთის წლით, მეორეს—ათით. განაჩენი წინადვე იყო დამტკიცებული რობერტსის მიერ. გასამართლებულნი არ ყოფილან მეამბოხეთა მოთავეებად; ისინი მხოლოდ ჩარიცხულიყვნენ ბურების ჯარში ამიტომაც ჰფიქრობენ, რომ ეს განაჩენი ძალიან დააშინებს მცხოვრებთ.

**კაპშტადტი.** გემი 500 ტყვებურებით, რომელთა შორის ბოსგოფთან მომხდარ ბრძოლაში დაჭერილი ევროპიელნიც არიან, წავიდა დღეს წმ. ელენეს კუნძულისაკენ.

**წმ. ელენე.** დღეს აქ მოვიდა გენერალი კრონიე მეუღლითურთ; მას თან ახლავს მისივე სამი ოფიცერი და ინგლისელი პოლკოვნიკი. კრონიეს მიეგება გუბერნატორი მეუღლითურთ. დაჰყო-რა გუბერნატორის სასახლეში ერთი საათი, კრონიე წავიდა კენტ-კოტეჯში. კრონიე კარგად გრძნობს თავის თავს. დანარჩენი ტყვეები ჯერ გემზე არიან. მათ გადმოსმენ ნაპირზე მხოლოდ ორშაბათს.

ჯემსტაუნის ნავთსადგურში მოვიდა ნიდერლანდიელი გემი.

**პარიზი.** შინაგან საქმეთი სამინისტროში მოსული დეპეშები მოწმობენ, რომ გამოფენის გახსნას პროვინცია აღტაცებით მიეგება.

**პარიზი.** სენის ნაპირებზე მრავალი ხალხი სდგას, რომელიც სიხარულით ეგებება პრეზიდენტის ნავს. ჯარების პავილიონის წინ დამწკრივებულ იყვნენ რუსეთის მატროსები, რომელნიც მხედრულად მიესალმნენ პრეზიდენტს. უცხოელთა პავილიონები მორთულნი არია ყვავილებით. ლუბეს ძალიან მოეწონა უცხოელთა პავილიონები. სენა სწორეთ საარაკო სანახავია. უცხოელნი ყვირიან: „გაუმარჯოს საფრანგეთსა და ლუბესაო“. ალექსანდრე III ხიდის შესავალთან პრეზიდენტს მიეგება თავ. ურუსოვი და მადლობა გაუცხადა, რომ ხიდს განსვენებულის იმპერატორის სახელი დაერქვაო. ლუბეს მარჯვენა მხარეს იხდნენ მილიერანი და ვალდეკ-რუსსო, მარცხენა მხარეს რუსეთისა და ინგლისის ელჩები. ლუბე გადავიდა ხიდზე და გაემართა იმპერატორის ნიკოლოზ II ალლეით.

**მოსკოვი.** დღეს, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის დღესასწაულს, დილის 11 საათ. და 45 წ., მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ მიძინების ტაძარში წირვის მოსასმენად. მოედანზე აუარებელი ხალხი იდგა. ტაძარში მოგროვილი იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრები, სენატორები, სტატს-სეკრეტრები და საპატიო ოპეკუნები. ეკატერინეს დარბაზში შეგროვილიყვნენ ხელმწიფის კარის კაცნი და ქალნი და აგრეთვე ქალნი, რომელთაც წმ. ეკატერინეს ორდენი აქვთ; სატახტო დარბაზში თავი შეეყარათ ყველა სამხედრო პირთ; ალექსანდრეს დიდს დარბაზში მოგროვილიყვნენ მოსკოვის წარჩინებულნი ქალნი, სამსახურის პირნი მოსკოვის საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებათა; წარმომადგენელნი თავად-აზნაურთა, ერობისა და ქალაქებისა იდგნენ გიორგის დიდს დარბაზში; ვლადიმერის დარბაზში იყნენ ვაჭართა, ხელოსანთა და მოქალაქეთა წარმომადგენელნი; წმიდა დერეფანში თავი მოეყარა სამღვდელოებას; კავალერგარდის დარბაზში იდგა რაზმი სუმის დრაგუნთა პოლკისა და შემდეგ დრაგუნთა მესამე პოლკის რაზმი; კიბეებზე იდგნენ სასახლის ლაქიები თავიანთ ლივრეებში გამოწყობილნი.

**მოსკოვი.** მიძინების ტაძრის სამხრეთ კარებთან მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმერი, ეპისკოპოსები ნესტორი და პართენი, სასახლის მღვდელი იანიშევი და სამღვდელოება ჯვრებითა და ხატებით. ხელმწიფე იმპერატორს ეცვა მისი უდიდებულესობის კაზაკთა პოლკის მუნდირი, იმპერატრიცას თეთრი კაბა და თეთრი მოსახურავი. დარბაზში გავლის დროს მათ უდიდებულესობათ მიართვა პურ-მარილი ქალაქის თავმა და შესაფერი სიტყვაც მოახსენა. ხელმწიფემ უპასუხა: „**გმადლობ დახვედრისათვის და სატყვისათვის. იმპერატრიცა და მე მალიან ბედნიერნი ვართ, რომ შეგვიძლია თქვენთან ერთად გიუჯნეთ ჩვენს საყვარელს მოსკოვში გნების კვირას და შეგვეგებოთ აქ დიდის დღესასწაულის ბრწყინვალე დღეებსა**“. როდესაც მათი უდიდებულესობანი გამოჩნდნენ მოედანზე, იგრიალა მძლავრმა „ურამ“. პროცესსიას წინ უძღოდნენ გოფ და კამერ-ფურიერები; შემდეგ მიდიოდნენ კამერ-იუნკრები და კამერგერები და კარის კაცნი; მათ შემდეგ—გოფ-მარშალი გრაფი ბენკენდორფი და ობერ-გოფმარშლი თავ. დოლგორუკი. მათ უდიდებულესობათ უკან მისდევდნენ წარჩინებულნი ქალნი, გენერალ-ადიუტანტი გესსე და გრაფი ოლსუფიევი და მორიგი გენერლები. იმპერატრიცას უკან მიდიოდა პირველი ობერ-ცერემონიმეისტერი გრაფ გენდრიკოვი. ტაძრის შესავალთან მათ უდიდებულესობათ სიტყვა მოახსენა მიტროპოლიტმა ვლადიმერმა. მათ უდიდებულესობათ შემდეგ ემთხვიენ ჯვარს და შებრძანდნენ ტაძარში წირვის მოსასმენად. წირვის შემდეგ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ჩუდოვის მონასტერში, სადაც მათ მიეგება მონასტრის წინამძღვარი. გზაზე აუარებელი ხალხი „ურას“ ჰყვიროდა. მათ უდიდებულესობანი ემთხვიენ წმ. ნაწილებს, შემდეგ კი შევიდნენ ნიკოლოზის სასახლეში; იქიდან ეტლებით წაბრძანდნენ კრემლის დიდს სასახლეში. გუშინ, საღამოს 7 საათზე, მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ უავგუსტოეს გენერალ-გუბერნატორთან. ხალხი, რომელიც იდგა გენერალ-გუბერნატორის სასახლის წინ მოედანზე და ტვერის ქუჩაზე, აღტაცებით ეგებებოდა მათ უდიდებულესობათ.

**მოსკოვი.** სიტყვა მიტროპოლიტის ვლადიმერისა: „უკეთილმორწმუნესო ხელმწიფევ! უძველესო უმორჩილესი მოსკოვი, მასთან ერთად კი მთელი რუსეთი, რომლის გულად იგი სამართლიანად ითვლება, ყოველთვის დაკავშირებული იყო მეფესთან გულწრფელის სიყვარულითა და შეუდრეკელის ერთობით. სადაც უნდა ბრძანდებოდეს ხელმწიფე, მოსკოვიც, თუმცა უხილავად, ყოველთვის იქ არის, ყოველთვის მასთან არის თავის გულწრფელის ერთგულებით, თავის თანაგრძნობით, თავის ლოცვა-კურთხევით. მაგრამ ეს კავშირი მოკოვსა და მეფის შუა დიადათ იჩენს თავს, როდესაც ხელმწიფე მობრძანდება აქ, იღებს მონაწილეობას მოსკოვის საეკლესიო დღესასწაულებში და ხალხს ხვდება პირისპირ. ისეთია ახლანდელი მომენტიც, როდესაც შენ, ხელმწიფევ, როგორც დილის გაზაფხულის მზე, სდგები ჩვენ თვალის წინ ხელმწიფა იმპერატრიცასთან ერთად; როდესაც მოსულხარ, რათა ამ ტაძარში ჩვენთან ერთად მოიგონო ის უწმიდესი წამები, რომელთ უმაღლესი არა არის-რა ქრისტიანისათვის, რათა ჩვენთან ერთად წარმოთქვა მწუხარე ლოცვები ვნების კვირისა და მიეგება ბრწყინვალე დღესასწაულს. მძლავრად ჰფეთქს ხალხის გული შენს დანახვაზე. მე არ ვიცი რა ვუწოდო გრძნობას, რომლითაც გატაცებულია ხალხი. ვუწოდო ხალხის მადლობად—ცოტა იქნება, ვუწოდო ნუგეშად, ესეც ცოტა იქნება. ჩვენი გული ავსილია ბედნიერების გრძნობით, რადგანაც გრძნობს, რომ მასთან არის მისი გამაცოცხლებელი, მასთან არის მისი დაუფასებელი საუნჯე. გულითა და სულით ვმადლობთ ღმერთსა, რომ ასე გვანუგეშა ჩვენ შენის ხილვითა, და შევვედრებდით მას ვანუგეშოს შენც, მეფევ, ჩვენით“.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა ბლუმფონტეინიდან, რომ გუშინ სამეფო გერლანდიის პოლკის დარაჯნი, რომელთა შორის იყო ლორდი რისლინი, ტყვედ იქმნენ დაჭერილნი. რისლინი გაგზავნეს კრონშტადში.

**ბლუმფონტეინი.** რობერტსმა დეპეშით გააფრთხილა კრიუგერი იმის შესახებ, რომ საძაგლად ეკიდებიან პრეტორიაში ტყვედ მყოფ აფიცრებს და ჯარის-კაცებს კაპის კოლონიისას.

**ალივალნორტი.** ბრაბანტი დღეს მიდის რუკსვილში ყველა ცხენოსან ჯარებით. გუშინ ვეპენერთან დრო-გამოშვებით იყო სროლა ზარბაზნებიდან. დღეს უფრო იშვიათად ისმოდა სროლა.

**გააგა.** საგანგებო მისსია სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებისა ლეიდსითურთ დღეს მოვიდა და სადგურზე მიეგება მრავალი ხალხი, რომელიც აცხადებდა თანაგრძნობას ბურების მიმართ. რამდენს ხანს დარჩება აქ მისსია, არავინ იცის.

**პარიზი.** გაზეთები ერთ ხმივ აცხადებენ, რომ გუშინ ჩინებული დღესასწაული იყო. რადიკალები და სოციალისტები ძალიან აქებენ ლუბესა და მილიერანის მიერ წარმოთქმულ სიტყვებსა. ოპოზიცია სასაცილოდ იგდებს გამოფენის მუშაობის დაუმთავრებლობას. ერთი ოპოზიციის გაზეთი ურჩევს მმართველობას დაკეტოს გამოფენა ხალხის ათვის და ხელმეორედ გახსნას ერთი თვის შემდეგ.

**პარიზი.** გუშინ, იმპერატორი ალექსანდრე III სახელზე აგებულ დის გახსნის დროს რუსეთის სამხედრო აგენტი პოლკოვნიკი მურავიოვი—ამურსკი იცნო ხალხმა და განაცხადა მხურვალე თანაგრძნობა ყვირილით: „გაუმარჯოს იმპერატორს, გაუმარჯოს რუსეთსო“.

**ალივალნორტი,** ოფიციალურად. ვეპენერთან ბრძოლაში ოთხი დღის განმავლობაში ინგლისელებს მოუკლეს 18, დაუჭრეს 132.

**3 აპრილი**

**პეტერბურგი.** 2 აპრილს პეტერბურგში დაბრუნდა სასახლის მინისტრი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Апрѣля. 1900 г.

დაიბეჭდა და გამოვიდა აკ. ბუ-ლატოვიჩის თხზულება სათაურით: „მენელიკ II ჯარებთან“. წიგნში საინტერესო აღწერილობაა შუა-გულ აფრიკაში გალაშქრებისა.

**დღაარი.** ინგლისის ჯარების მსწრაფლ მავალმა რაზმმა გაიარა 500 მილი და მივიდა კარნარვონის ოლქში. ხუთი კვირის განმავლო-ბაში ამბოხება მოსპობილ იქმნა. მეამბოხენი გაფანტეს; მოთავენი დატუსაღებული არიან.

**პარიზი.** ნაშუადღევს გამოფე-ნაზე იყო დიდძალი ხალხი; მარ-ტო უმთავრეს შესავლიდან წუთ-ში 3000 კაცი შედიოდა; მიუხე-დავად იმისა კოველგან სრული წესიერება სუფევდა. უცხოელთა პავლიონები თანდათან ივსებიან და იზიდავენ დიდძალ ხალხს. პა-რიზს ისეთი სახე აქვს, როგორც დიდ დღესასწაულებში- ამინდი მშვენიერია. არავითარი სამწუ-ხარო შემთხვევა არ მომხდარა.

**პარიზი.** საზოგადოება და ჟურ-ნალ-გაზეთობა დიდის ქებით იხ-სენიებენ რუსეთის განყოფილებას გამოფენაზე.

გაზ. „ლიბერტე“-ში დასტამბუ-ლია ვრცელი წერილი სათაურით: „რუსეთის მრეწველობა სხვა ერთა შორის“. მოგვყავს ამ წერილიდან შემდეგი ადგილი: „ჩვენ კიდევ გაოცებულნი და აღტაცებულნი ვართ რუსეთის განყოფილების ნახვით: რამდენიმე წლის განმავ-ლობაში რუსეთის მრეწველობა და ვაჭრობა იმდენად განვითარდა, რომ ყველა განცვიფრებაში მო-დის, ვინც კი მოასწრო ამ ცოტა ხანში განყოფილების დათვალიე-რება. ეს განვითარება იმდენად ძლიერია, რომ კაცს ბევრს რას-მეს აფიქრებინებს“.

დრ. რეფ. **ალ. ჟუჟიძე**

## გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**სამშაბათი,** 4 აპრილი; ახალი სტი-ლით 17 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 271 დღე. მთვარის მე-15 დღე. დიდი-მარხვის ორმოც მეოთხე დღე. ხსენება ღირსისა იოსებ მგალობლისა, გრიგოლისა და ზოსიმესი.

**ოთხშაბათი,** 5 აპრილი; ახალი სტი-ლით 18 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 270 დღე. მთვარის მე-16 დღე. დიდი მარხვის ორმოცდა-მეხუთე დღე. ხსენება წმ. მოწამისა აგათოპოდისა და თეოდულესი და ღირსისა მარკოზისა.

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ხორცი** ძროხისა | 1 | გ. | —10 | გ. |
| **ხუცი** . . . . | 1 | » | —15 | გ. |
| » ცხვრისა . . | » | » | —11 | გ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | გ. |
| » ღორისა. . . | » | » | — 8 | გ. |
| » ღორის ხარკა-ლი სუქტის | 1 | » | —10 | გ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს თან შერი ბეჭედი აქვს, კამეჩს—მწვანე, ღორს—ლურჯი).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პური** ფქვილისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 გ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ » |
| » » | III | » | » | » | 3 » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჯე. მშ. | I | » | » | » | 6 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |

**ტფილისის ბაზრები:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გაიყიდა მეიდანზე: | | | | | გოგჩისდან, |
| ხორბალი სუფ. ფუთი. | მ. | გ. | მ. | გ., | |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » პური მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილის 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 გ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 გ.-მდე, ღორი 8საფლითობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 გ.-მდე, ძროხა და ხარი აქ-ური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი—მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 გ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსისკში) 1 ფ. 54 გ. 41 გ. ქერი როსტოვში 66 გ. 62 გ.-მდე ნოვოროსისკში 68 გ. 69 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 გ. შაქარი ოქვე ფუთი 5 მან. 70 გ. „ფუშხნილი „ 4 „ 80 „ მატყლი ასხანური, თითო ფ. 10 მ.—11 მ. 85 გ., მატყლი 10% შავ-ნარევი — საფლითობრივი—3 მ. 50 გ.—4 მ. 10 გ., გარეცხილი 8 მ. 37 გ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 გ.-მდე.

**სააფთიაქოები**

**ქალაქის საზღვრობა სააფთი-აქოები**, მიხეილის ქუჩა, სახელმწი-ფო სახლი, ფასი სურთი თოხში —12 მ. თვ. ცალკე თოხში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრა-ნის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რეკ 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა, წამალი და წამლობა უფასოა. სამკურ-ნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყო-ფილებანი:** **ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტერიდისა. გამგე ექიმი მირზოევი.

**ძმელისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუ-მოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იდლიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელი-საბედის ქუჩა, სახლი წითხელისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩე-ვას. გამგე ექიმი გ. ტარსაძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—ამყო-ფებზე კოჯრის ქუჩაზე, ბარონსა ტიზენგაუზენისა და ეჯიბოვის სახ-ლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათ-ვის საავადმყოფო იმყოფება ავლა-ბარში, მეტრო-მეხლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დღის 12 მან. ქი-მი ოსტამოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გუგუშელიძე.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფა-რი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეტეხის ნა-პირი, სახლი მელიქიანისა.

დიდუბეში, სახლი გოლდფილუს-ტისა.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალა-ქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 14 აპრილს, დანიშნულია საჯა-რო ვაჭრობა, რომლითაც მოი-ჯარადრემ უნდა წარმოადგი-ნოს 600 კუბიკ. საჟ. ქვა და 120 კუბ. საჟ. ქვიშისა ქალა-ქის ქუჩის რემონტისათვის.

ვისაც სურს მონაწილეო-ბა მიიღოს ვაჭრობაში შეუძ-ლია დაწვრილებითი პირო-ბები განიხილოს ქალაქის გამგეობაში დილის 9 საათი-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ნ. 3—1

**ტფილისის ქალა-ქის გამგეობა** საჭი-როდ რაცხს აცნობოს ვაჭართ და საჭმელ-სასმელების მწარ-მოებელთ, რომ შინაგან საქ-მეთა სამინისტროს ცირკუ-ლიარით, რომელიც გამოიცა 1898 წ. 27 იანვარს, № 122, აკრძალულია ხმარება ინალი-ნის საღებავისა საჭმელ-სა-ნოვაგის, საკონდიტერო და სხვა ამგვარ პროდუქტების და აგრეთვე ღვინისა და სხვა სას-მელების შესაღებად; ნება დარ-თულია ამ საგნისთვის ხმა-რება მცენარეულ პიგმენტები-სა, ხოლო დამნაშავენი ხსე-ნებულ მავნებელ მინერა-ლურ საღებებისა მიცემულ იქნებიან სამართალში ნ. 3—1

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საჭიროდ რაცხს გააფრთხილოს მცხოვრებნი, რომ ქ. ტფილისში ისყიდება კვერცხების ანილინური და მინერალური საღებავი (ეგ-რედ წოდებული ვერცხლისა და ოქროსი), რომელნიც ქა-ლაქის ლაბორატორიამ მავ-ნებლად სცნო.

დამნაშავენი ამ საღებავის ხმარებაში მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში. ნ. (3—1)

**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

ალექსანდრე ზუბოვისაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

გამომც. ზ. ზუბოვი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Апрѣля, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.